

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“
თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის კომისიის
გადაწყვეტილება #7

26 ნოემბერი 2019 წ.

საქმე - მერაბ ბლადაძე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ წამყვან/რეპორტიორის თეონა ბაკურიძესა და ჟურნალისტის ირინა წუწუნავას და წინააღმდეგ

კომისიის თავმჯდომარე - გიორგი მგელაძე (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი)

კომისიის წევრები - ნათია აფხაზავა (სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი); ეკატერინე ფირცხალავა (DW აკადემიის კონსულტანტი სტრატეგიულ მედია მენეჯმენტში.)

განმცხადებელი : აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი მერაბ ბლადაძე

მოპასუხეები : სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ წამყვან/რეპორტიორი თეონა ბაკურიძეა და ჟურნალისტი ირინა წუწუნავა

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 22 ოქტომბერს მაუწყებელს განცხადებით (#02-24/365) მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრმა მერაბ ბლადაძემ. განცხადებაში მითითებულია, რომ მაუწყებლის მიერ 2019 წლის 18 ოქტომბერს გადაცემა „მთავარში“ ჟურნალისტმა საკუთარი ინტერპრეტაციით გადასცა 2019 წლის 17 ოქტომბერს თოქშოუ „სათქმელში“ მისი სიტყვები (“ რატომ უნდა იყოს აჭარის ტელევიზიის იდეოლოგი, თემურ (იგულისხმება ზვიად) ქორიძე... ადგილობრივები არ გვყავს? დავიჯერო ასეთი უვიცები არიან ადგილობრივები?“), რითაც შეიცვალა ნათქვამის აზრი და საზოგადოებას ჩამოუყალიბდა მცდარი შეხედულება ზვიად ქორიძის მიმართ მისი დამოკიდებულების შესახებ. აღნიშნულის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და მოითხოვა ტელევიზიის მიერ საჯარო განმარტების გაკეთება და ბოდიშის მოხდა.

მაუწყებლის 2019 წლის 24 ოქტომბრის #02-19/469 წერილით განმცხადებელს ეცნობა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-მ მის მიერ გადაცემა „მთავარის“ ეთერში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ შეიტანა ცვლილება გავრცელებულ ინფორმაციაში და განათავსა მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შემდეგი შინაარსის განცხადება: „მთავარის“ ეთერში მერაბ ბლადაძის განცხადების შესახებ მომზადებულ მასალაში (სათაურში და

სიუჟეტის წარდგენაში) სიტყვა „ჩამოსული“ წარმოჩინდა რესპონდენტის ციტირებად. მერაბ ბლადაძის მიერ ნათქვამ ფრაზაში - „რატომ უნდა იყოს აჭარის ტელევიზიის იდეოლოგი თემურ ქორიძე, რატომ უნდა დებულობდეს სამიათას ლარ ხელფასს, ადგილობრივი არ გყავს? ასეთი უვიცეები არიან ადგილობრივები?“ - „ჩამოსული“ ნახსენები არ ყოფილა. ამასთან, უზუსტობა არ ყოფილა სიუჟეტში და ტექსტში, მხოლოდ ლიდში იყო აღნიშნული სიტყვა გამოყენებული.”

ასევე განემარტა, რომ კანონდებლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ითვალისწინებდა ბოდიშის მოხდას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მიიჩნევა, რომ გავრცელებული განცხადება/შესწორება არ იყო თავდაპირველი განცხადების თანაზომადი, შეედლო მოემართა მაუწყებლისათვის მისი საჩივრის/განცხადების თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილვის მიზნით.

2019 წლის 31 ოქტომბრის წერილით მერაბ ბლადაძემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 52.2. მუხლის საფუძველზე მცდარი ფაქტის შესწორება ან უარყოფა გადაცემა „მთავარის“ მეშვეობით, დაახლოებით იმ დროს და იმ ხანგრძლივობით, როგორც ეს საწყისი განცხადების გაკეთების დროს მოხდა. ასევე მიუთითა, რომ გახორციელებული შესწორება არ მომხდარა თანაზომადი სახით.

კომისიამ 2019 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე მოისმინა (საკომუნიკაციო საშუალებით) მერაბ ბლადაძის განმარტებები მოცემულ საქმესთან დაკავშირებით და დააზუსტა კონკრეტული დეტალები. მერაბ ბლადაძეს დამატებით რაიმე სახის მტკიცებულება არ წაუდგენია.

კომისიამ შეისწავლა:

1. მერაბ ბლადაძის განცხადებები (22/10/2019 და 31/10/2019). ასევე, კომისიის სხდომაზე მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები.
2. 2019 წლის 18 ოქტომბრის გადაცემა „მთავარი“ - <https://www.facebook.com/AjaraTV/videos/2658904397463912/>
3. 2019 წლის 17 ოქტომბრის ტოქ-შოუ „სათქმელი“ - <http://ajaratv.ge/video/7273?fbclid=IwAR3LAdVnG1ARk7Bo47ghPnfWcBXisOCHhAMKOVIaZ5ZomQsndWOR8CV61w>
4. შესწორება - <http://ajaratv.ge/article/50250>
5. ვებ.გვერდზე განთავსებული მასალა მერაბ ბლადაძის საჩივართან დაკავშირებით - <http://ajaratv.ge/article/50554>

ზემოაღნიშნული მასალის შესწავლის შემდგომ, კომისიამ დაადგინა, რომ მერაბ ბლადაძის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოტივაციო ნაწილი :

"განმცხადებელმა მერაბ ბლადაძემ კომისიას განუცხადა, რომ მას არ უხსენებია სიტყვა ჩამოსულები, სიუჟეტის წარდგენისას წამყვანმა წარდგენის ტექსტში კი მისი ნათქვამის არასწორი ციტირება - ინტერპრეტირება მოახდინა და სიტყვა ჩამოსულები მიამატა. ბლადაძეს ასევე პრეტენზია აქვს, რომ მთელი სიუჟეტის განმავლობაში ტიტრად თანმდევ

მინაწერი “ადგილობრივები არ გვყავს? ჩამოსულეებს რომ ვასაქმებთ” არ არის მისი განცხადების ზუსტი ციტირება და არ გამომდინარეობს მისი გამოსვლიდან.

კომისიამ საკითხის დეტალური შესწავლისას მოახდინა განმცხადებლის მერაბ ბლადაძის გადაცემაში სტუმრობისას წარმოთქმული იმ ფრაზის ზუსტი ციტირება, რომელიც საფუძველი გახდა განსახილველი სიუჟეტის მომზადების, ბატონი ბლადაძე გადაცემაში ამბობს: “ რატომ უნდა იყოს აჭარის ტელევიზიის იდეოლოგი, თემურ (იგულისხმება ზვიად) ქორიძე... ადგილობრივები არ გვყავს? დავიჯერო ასეთი უვიცები არიან ადგილობრივები? “ სწორედ ეს ციტატა გახდა წამყვანის ტექსტის და ზოგადად სიუჟეტის მომზადების საფუძველი. კომისიას უნდა შეეფასებინა, ამ ტექსტში ბატონმა ბლადაძემ ხაზი გაუსვა თუ არა ქორიძის როგორც “ჩამოსულის” დასაქმებას ტელევიზიაში, კომისიას უნდა ემსჯელა მერაბ ბლადაძემ მოახდინა თუ არა ქორიძის დასაქმების განხილვა მისი წარმომავლობის (საცხოვრებელი ადგილის) ჭრილში და თუ ეს ასე იყო, მაშინ რამდენად იყო სიზუსტის დარღვევა წამყვანის მიერ სიტყვა “ჩამოსულის” გამოყენება ბლადაძის ციტატის, მოსაზრების აღსაწერად.

კომისიის სამივე წევრი, ვთანხმდებით, რომ ბატონმა ბლადაძემ მის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, პრობლემად წარმოაჩინა, რომ ადგილობრივების ნაცვლად ასაქმებენ არაადგილობრივებს. აქედან გამომდინარე, წამყვანის მხრიდან არაადგილობრივის მონაცვლედ თავისუფლად იყო შესაძლებელი გამოყენებული ყოფილიყო სიტყვა ჩამოსული, ბლადაძის მთელი ციტატა სწორედ “ჩამოსულის დასაქმების” პათოსითაა გაჟღენთილი, ამიტომაც კომისია ვთანხმდებით, რომ წამყვანის ასეთი ინტერპრეტირებით არ მომხდარა გამომსვლელის აზრის, შინაარსის, არსობრივი შეცვლა, მისი აზრის დამახინჯება.

მედია პროდუქტის შექმნისას სიზუსტის დაცვა არ ნიშნავს, რესპოდენტის ციტატის ზუსტ კოპირებას, ხშირად ჟურნალისტები რომელიმე რესპოდენტის რამდენიმე საათიანი ინტერვიუდან აუდიტორიას მთავარ გზავნილებს რამდენიმე წამის ხანგრძლივობის ფრაგმენტით ანდა პერფორანით აწვდიან, მსგავს შემთხვევებში მთავარია ჟურნალისტმა არ შეცვალოს, არ დაამახინჯოს რესპოდენტის მოწოდებული ინფორმაციის აზრი. ჟურნალისტმა არ უნდა აღწეროს რესპოდენტის მონათხრობი ისე, რომ არსებითად იცვლებოდეს შინაარსი, არ უნდა მოხდეს იმის წარმოჩენა რაც არ თქმულა. განხილულ შემთხვევაში კომისიის შეფასებით, არ მომხდარა ჟურნალისტის მიერ მერაბ ბლადაძის ნათქვამის იმგვარი ინტერპრეტირება რაც ძირეულად შეცვლიდა რესპოდენტის გამონათქვამის მთავარ გზავნილს (არაადგილობრივების დასაქმების და ადგილობრივების დაუსაქმებლობაზე წუხილის შესახებ)

აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ აჭარის ტელევიზიის აღნიშნულ მედია პროდუქტში არ არის დარღვეული მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 და მე-14 მუხლის მოთხოვნები, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი. (მაუწყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა) ინფორმაციის სიზუსტე და არ უნდა მოხდეს მისი უარყოფა, შესწორება.

კომისიის შენიშვნა - რეკომენდაცია: განხილვის ეტაპზე, კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ მერაბ ბლადაძის საჯარო პრეტენზიის შემდეგ, სიუჟეტის გასვლიდან რამდენიმე საათში აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო პოლიტიკაზე პასუხისმგებელმა გუნდმა, მოახდინა ვებ-

გვერდზე შესწორების გამოქვეყნება. სადაც ნათქვამი იყო, რომ სიტყვა ჩამოსული არ იყო ბლადადის ზუსტი ციტირება და იქვე იყო მოყვანილი ზუსტი ციტატა. კომისია მიესალმება რედაქციის მსგავს დამოკიდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ "შეცდომას" მივიჩნევთ არაარსებითად და სიტყვა "ჩამოსული" ასახავს ბლადადის გადაცემაში გაქურებული მოსაზრების მოკლე შინაარს, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რესპოდენტის პრეტენზიაზე ასეთი მყისიერი რეაგირება. თუმცა აქვე გვაქვს რეკომენდაცია, რომ ამ შესწორებაში გადმოცემული ტექსტის იდენტური ტექსტი თან ერთვოდეს სადავო მასალას ყველგან სადაც მისი გავრცელება მოხდა ანდა სამომავლოდ მოხდება, ანუ ვებ-გვერდზე, ან სოციალურ ქსელში განთავსებულ ამ სიუჟეტს აუცილებლად მიეწეროს, რომ მასში მოყვანილი სიტყვა "ჩამოსული" არ არის რესპოდენტის ზუსტი ციტირება, თუმცა ასახავს მერაბ ბლადადის მოსაზრების კრებით აღწერას."

სარეზოლუციო ნაწილი:

თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განმხილველი კომისია მიიჩნევს, რომ ჟურნალისტების - თეონა ბაკურაძის და ირინა წუწუნავას მიერ მერაბ ბლადადის 2019 წლის 17 ოქტომბერს თოქშოუ „სათქმელში“ გამოთქმული მოსაზრების თაობაზე სიუჟეტის წარდგენისას/მომზადებისას არ დარღვეულა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 და მე-14 მუხლები, ასევე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ხელმოწერები:

გიროგი მგელაძე

(თავმჯდომარე)

ნათია აფხაზავა

ეკატერინე ფირცხალავა